

შეტანილია ცვლილებები  
კულტურისა და ძეგლთა  
დაცვის მინისტრის  
01/18/2012 N 3/16  
ბრძანებით

(სსმ 08.08.2006 N 105 მუხ. 1436)

რეგისტრირებულია  
საქართველოს იუსტიციის  
სამინისტროში  
სარეგისტრაციო კოდი  
040.030.000.22.028.009.060

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა  
დაცვისა და სპორტის მინისტრის  
ბრძანება N 3/257  
2006 წლის 7 აგვისტო ქ. თბილისი**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს  
კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო  
დებულების დამტკიცების თაობაზე**

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის თანდართული საკონკურსო დებულება.
2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2005 წლის 20 აპრილის N3/176 ბრძანება „კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულების დამტკიცების თაობაზე“.
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*გ. გაბაშვილი*

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კინემატოგრაფიის ეროვნული  
ცენტრის საკონკურსო  
დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

## **მუხლი 1. კონკურსის გამოცხადების წესი**

1. კონკურსს აცხადებს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი (შემდგომში - კინოცენტრი)
2. კონკურსის გამოცხადების თაობაზე კინოცენტრის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომელშიც განსაზღვრულია საკონკურსო პირობები და პროექტთა წარდგენის ვადები.
3. კონკურსი ცხადდება ბეჭდვით ორგანოში და კინოცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
4. კონკურსი ცხადდება შემდეგ კატეგორიებში:
  - ა) ეროვნული ფილმის სცენარის შექმნის მხარდასაჭერად;
  - ბ) ეროვნული ფილმის პროექტის დამუშავების დაფინანსების მიზნით;
  - გ) ეროვნული ფილმის წარმოების დაფინანსების მიზნით;
  - დ) ეროვნული ფილმის დისტრიბუციის დაფინანსების მიზნით.
5. კონკურსი ცხადდება სრულმეტრაჟიანი მხატვრული, მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების პროექტების დაფინანსების მიზნით.
6. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს ან საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს.
7. ეროვნულ კინოცენტრში პროექტის განხილვის მოთხოვნა უნდა იყოს წარდგენილი ავტორის ან პროდიუსერის მიერ, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი.
8. საკონკურსოდ წარმოდგენილ პროექტებს განიხილავს კინოცენტრის საექსპერტო კომისია, რომლის საქმიანობის წესი განსაზღვრულია „კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულებით“.
9. კონკურსში მონაწილეობა ეკრძალებათ ეროვნული კინოცენტრის თანამშრომლებს და საექსპერტო კომისიის წევრებს.

## **მუხლი 2. დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი**

1. პროექტის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას კინოცენტრი იღებს საექსპერტო კომისიის დასკვნისა და კინოცენტრის იურიდიულ-ფინანსური ექსპერტიზის საფუძველზე
2. პროექტის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას კინოცენტრი ითვალისწინებს, რომ სახელმწიფო დაფინანსების წილი ეროვნული ფილმის დაფინანსებისას არ უნდა აღემატებოდეს ფილმის საერთო ხარჯთაღრიცხვის 75%-ს, ხოლო ეროვნული ფილმის გაქირავებისას დისტრიბუციის ხარჯების 50%-ს.
3. გადაწყვეტილება პროექტის დაფინანსების შესახებ მიიღება ეროვნული კინოცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახით.
4. დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კინოცენტრსა და განმცხადებელს შორის ფორმდება ხელშეკრულება განმცხადებლისათვის თანხის გადარიცხვის თაობაზე და განისაზღვრება მხარეთა უფლებები და ვალდებულებები.

### **მუხლი 3. დებულებაში ცვლილებების შეტანის წესი**

კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულებას შეიმუშავენ კინოცენტრი და ამტკიცებს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება იმავე წესით, როგორც თვით დებულების მიღება.